ფასი 1 მან.

ახალი ნაკადი

„მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა“

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშვრალთა კავშირის ორგანო

კვირა 27, აპრილი

№ 22 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ — კვირაობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, ქართული კლუბის შენობ. ყოფილ სამხედ. კავშირის ოთახში. იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

ტფილისი აპრილის 27 1919 წ.

ახალი დროის „დერჟი მორდებს“.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს განთავისუფლება ნაყოფიადი რევოლიუციურ მოძარობისა რომელიც მთელ დედა-მიწას მოედვა და ლამის არის სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს ბოროტების მსახურთ. რევოლიუციამ არა მარტო ერი გაათავისუფლა, არამედ თითოეულ მოქალაქეს მიანიჭა გარანტიები, ურომლისოდაც თავისუფალი ცხოვრება შეუძლებელია. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მას შემდეგ, რაც დამყარდა დემოკრატიული წესწყობილება მრავალი ახალმოდის „დერჟი მორდები“ გაჩნდენ. და რაც უფრო სავალალოა, ასეთ ვაჟბატონებს თქვენ შეხვდებით ადმინისტრაციაში, დაწესებულებებში, რკინის გზაზე, ქუჩაში და თითქმის ყველგან, დღეს მათ წინაშე შიშით კანკალებს მოქალაქე: ძალადობა, შეურაცხყოფა, იარაღის ტრიალი, უმიზნო სროლა. ძარცვა-გლეჯა, აი ჩვეულებრივი სურათი დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისა.

რომელიმე კომისართან რომ ამაზე ლაპარაკი დაიწყოთ, თვალი გასაქცევ კარებისკენ უნდა ჰქონდეთ, თორემ შეიძლება ფიზიკური შეურაცხყოფაც კი იგემოთ ახალი დროის და მოდის „კაპრალებისაგან“. ამის მოთმენა მეტი აღარ შეიძლება! საჭიროა თვით მოქალაქეებმა ამოსდვან ლაგამი დღევანდელ ჟანდარმებს და მათ მიუჩინონ ისეთივე ადგილები, როგორიც ძველებს მიუჩინეს. დღევანდელი მოქალაქე დაბინდების შემდეგ ქუჩაში ვერ გამოსულა და უმთავრესად მას ეშინია არა იმათი, ვინც „ყაჩაღების“ სახელს ატარებს, არამედ იმათი უფრო, ვინც თოფით ხელში მოქალაქეთა „მშვიდობიანსა და მყუდრო ცხოვრებას დარაჯობს“. ამ მოვლენას თუ დაუყოვნებლივ არ მიექცა სათანადო ყურადღება და თვით მოქალაქეებმა არ მიიღეს მათ წინააღმდეგ ყოველგვარი ზომა, მათი თავხედობა თან და თან გაიზრდება და მალე მოქალაქეთა ზურგზე თავისუფლად გაისეირნებს ჩვენი დროის „დერჟი მორდების“ მათრახი. მერე შეგვიძლია ამას შეურიგდეთ?

ჩემს მკითხველებს.

მას აქეთ, რაც ჩვენი ჯგუფი ს.-ფედერალისტებს გამოეყო, ხან გამოშვებით თავს გვესხმის მათი ზოგიერთი წევრი. განსაკუთრებით ნიშანშია ამოღებული ჩემი პიროვნება. რა ზნეობრივი სიფაქიზისა და გონებრივი სალოაოს ხარისხის პატრონი არ გნებავთ, რომ დღეს არ ცდილობდეს უდიერად მომიხსენიოს, ბინძურად აფათურის ჩემს სულსა და გულში ჭუჭყიანი ხელები და საშუალება არ დაზოგოს ჩემი გაბიაბრუებისა. მაშინაც კი, როდესაც ასეთი ვნჟბატონები რომელიმე „პადვალში“ ქეიფს შეექცევიან, აქაც „ალიოშა მაშვრალი“ აგონდებათ სჩანს მათი დიდი ყურადღება დავიმსახურე (მე პირადად დიდ მადლობას ვსწირავ იმ ვაჟბატონს, ვინც პირველად „ალიოშა მაშვრალი“ მიწოდა)

ვფიქრობდი, უფრო გონიერი და პატიოსანი ნაწილი ს.-ფედერალისტებისა ბოლოს მოუღებდა წრესგადასულ ადეპტების ასე „ჯირითობას“ მაგრამ გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, ოომ დღემდის ეს მათ არ ინებებს. . ეს კი მათ არ შეშვენისთ.

1905 წლიდან ვეკუთვნოდი ს.-ფედერალისტების პარტიას და ვეწვოდი ბევრგან პასუხისაგებ მოღვაწეობას, რისთვისაც მეც განმიცდია დევნა ძველ თავრობისაგან. დღეს რომ ბრძანებენ თითქოს მე რეაქციის დროს მუშაობას ვერიდებოდი, ეს მეტი რომ არა ვსთქვა, ან ბოროტი სიცრუეა და ან გავზრახ ჩადენილი უსამართლობა. მოიგონონ ასეთმა პირებმა გაზეთი „კავშირი“ ჭიათურის ორგანიზაცია, ხარკოვის საგუბერნიო ციგე, ქუთაისის მუშათა ჰატარა წრე რომელშიაც იმ დროს ვმუშაობდი, როდესაც ბევრი ცილისმწამებელთაგან მხოლოდ ქუთაისის პულვარს ტკეპნიდა, ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა საიდუმლო წრე და სხვა. მაგრამ რა საჭიროა ყოველივე ამის მოგონება, განა მათ ეს არ იციან? ძლიერ კარგად იციან და მაინც ღვარძლიანად იგინებიან. აბა რას დაეძებენ! მათი მიზანი ხომ მხოლოდ ერთია: სადაც კი მიუწვდებათ ხმა, რაც შეიძლება მეტი სიბინძურე გადმოანთხიონ და მოგეხსენებათ სიბინძურის უმთავრესი თვისება ის გახლავთ, რომ თვისი მყრალი სუნით შხამავს იგი ატმოსფერას და ასეთ მოწამლულ ატმოსფერაში „სათანადო“ მოღვაწეობას ეწევიან დაბადებიდანვე სიბინძურის მატარებელნი.

მე ეს არ მაკვირვებს. არ მაკვირვებს მით უფრო, რომ ს.- ფედერალისტების პარტიაში ყოფნის დროს განსაკუთრებით რევოლიუციის ხ-ნაში, ერთი განსაზღრული ადგილიც მეც მეჭირა: თუ თითქმის ყოველი კონფერენცია ოვაციებით მხვდებოდი (მოიგონეთ ქუთაისში, მეორე ფვდერ. საბჭოს კრება), თუ ქუთაისის ქალაქის საბჭოსა, მუშათა საბჭოსა და სხვა დაწესებულებებში პარტიას ერთ პირველთაგანი მეც ვყავდი, თუ მოსკოვში და პეტროგრადში იგი ფრიად საპასუხსაგებო დავალებებს მაკუთვნებდა, (ამის დოკუმენტები ხელთა მაქვს) თუ მთავარი ორგანო ერთ ხმად ადგენდა, რომ მე უეჭველად დამეტოვებინა ქუთაისი და პარლამენტის წევრობა მეკისრა (წაიკითხეთ ამის შესახებაც „სახალხო საქმე“), თუ პარტიული საგუბერნიო ორგანოს რედაქტორობაც დამევალა, და მრავალი სხვა რამ, ცხადია პარტიის ხელმძღვანელი ორგანიზაციები არ იყვნენ და ვერ იქნებოდენ ჩემზე ისეთი შეხედულებისა, როგორსაც დღეს ზოგიერთი ვაჟბატონი გამოსთქვამს.

უნდა კატეგორიულად განვაცხადო, ამ ვაჟბატონების ჩემ წინააღმდეგ გამოღაშქრება თავიდან და ბოლომდის მხოლოდ ქუჩური ლანძღვა-გინება და განზრახული მიზნით გადმოსროლილი ჭორი, რომ ეგებ ვინმე მაინც წამოეგოს მათი სიბინძურის ანკესზე. არც დრო და არც სურვილი ნებას არ მაძლევს ასეთ ვაჟბატონებს არსებითად ვეკამათო...

ჩემმა მკითხველებმა კარგად უნდა იცოდენ, რომ ჩვენი ჯგუფის ლექსიკონში სიტყვა „ლიდერი“ არ არსებობს და მაშასადამე არც მე და არც სხვა მისი ლიდერი არაა. აქ არის განსაზღვრული ჯგუფი ახალი იდეის მატარებლებისა და მისი პროპაგანდისტებისა. და ვინც ჰფიქრობს, რომ ერთის მხრივ ჩემის ლანძღვა-გინებით ჯგუფს რამეს ავნებს, იგი მწარედ სცდება; სცდება იგი იმ შემთხვევაშიაც, თუ თვისი მოქმედებით ამ ახალი ჯგუფის დარღვევას და მასში არევ-დარევას ლამობს. ამ ჯგუფს ახსოვს ისეთი შემთხვევები, როდესაც მის წრეში ორიოდე „ბოგზ ვნილი“ პირი მუშაობდა და ყველას ერთგულებას ეფიცებოდა, მაგრამ მაინ ფიზიონომიაც მალე გამოაშკარავეს. შეიძლება დღესაც იყოს ვინმე ასეთი ჩვენს წრეში, მაგრამ იმედია, მის „ფრთხილ და გაიძვერულ“ მოქმედებასაც აეხდება მოკლე დროში ფარდა...

მე კი ერთხელ კიდევ გულწრფელად ვურჩევდი ს.-ფედერალისტების მესვეურთ, ყოფილ აღხანაგთ, შეაჩერონ ის „ვაკხანალია“, რომელიც ჩემი და ჩემი ამხანაგების წინააღმდეგ სწარმოებს მათი ორგანოს ფურცლებზე.

ვფიქრობ, ასეთი მოქმედებით სულ საწინააღმდეგო შედეგს მიიღებენ....

ალ. წერეთელი.

ჩვენი მთავარი პრინციპები

სწორედ სამართლიანად სწერდა განსვენებული **არჩილ ჯორჯაძე**: „პარლამენტარულ ნიადაგზე მომქმედ სოციალისტურ პარტიებისათვის კლასთა ბრძოლის უარყოფა იქიდან იწყება, როდესაც ეს პარტიები კანდიტატების ამოსარჩევად ან რაიმე კანონის შესამუშავებლად არა-სოციალისტურ პარტიებს ეკავშირებიან „საერთო“ მოქმედებისათვის. საცა კლასთა შორის „საერთო მოქმედება“ ჩნდება, იქ კლასთა ძირითად შეურიგებლობაზე ლაპარაკი აღარ უნდა იყოს არჩილი უსაყვედურებს ს.-ფედერალისტებს, რომ ისინი შეუკავშირდენ ისეთ ხალხს, რომელიც „არსებითი წიააღმდეგაა კლასთა ბრძოლის გამწვავებისა. მათი სარწმუნოების სიმბოლო—შრომის დაკაპიტალის“ მორიგება და „კლასთა თანამშრომლობაო“*) საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ-სოციალისტური პარტიები პარლამენტში მოღვაწეობის დროს, როგორც ეს უკვ აღვნიშნეთ, თანდათან სტოვებენ კლასთა შორის ბრძოლის ნიადაგს და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობით ფიქრობენ მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ზოგიერთი ამაზე უფრო შორს მიდის ღებულობს თავის თავზე ბუჟუაზიის მოვალეობის ასრულებას ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ხელი შეუწყოს „საწარმოო ძალთა“ მექანისტურ განვითარებას, რათა შემდეგ, როდესაც მარქსისტული ტიბიკონით ჩამოჭკრავს კაპიტალიზმის უკანასკნელი წუთი, მშრომელთა წინაშე გადაშალოს სოციალისტური სამოთხე. კარგი იდილიაა, შეიძლეოდა მისი ჰვრეტით დატკბობა თავისუფალ დროს, მაგრამ სამწუხაროა, რომ ასეთ იდილიურ შეხედულებას დღეს ბევრი რეფორმისტი შეუპყვრია! რეფორმიზმს და მისს მავნებლობას ასე ახასიათებს **ბოლლეი****): 1907 წელს კონგრესს სწადდა ბოლო მოეღო ექვსის წლის წლის წინად გაჩენილ კრიზისისათვის. თეორიის და კრიტიკის სფეროში ბერშტეინი სცდილობდა მარქსიზმის საძირკველის დარღვევას, იგი უარყოფდა კაპიტალის კონცენტრაციას, კლასთა შორის არსებულ უთანხმოებას, უარყოფდა ეკონომიურ ევოლიუციის გავლენას სოციალისტურ ცხოვრებაზედ. პრაქტიკულ ფარგალში მილიერანი გაჩნდა, რომელიც ჟორესის, ვივიანის და რუანეს მოწონებით ღენერალ გალიფესთან ერთად (გალიფე ის გენერალია, რომელმაც კომუნის დროს დიდძალი ხალხი ამოჟლიტა) შედის მინისტრთა კაბინეტში. კაბინეტს თავს არ ანებებს მეგობრების რჩევით შალოწსა და მარტინიკში მომხდარ ამბების შემდეგაც (რამდენიმე მუშის მოკვლა). მის მეგობრებს პროტესტი არ გამოუცხადებიათ მაშინაც, როდესაც მილიერანი რუსის ხელმწიფის წინაშე ქედმოხრილი იდგა. სოციალისტ-რეფორმისტების პარტია თანდათან თავის პრაქტიკულ მოქმედებას თეორიულ საფუძველს აძლევს. იგი მჭიდროდ უკავშირდება რადიკალებს და ოპოზიციონერებს. ამ პარტიის ზოგიერთი გავლენიანი წევრი დათმობის გზას ადგას. ჟორესი იტალიის მეფესთან ერთად მიირთმევს საუზმეს. იგი მხარს აძლევს მილიერანს, როდესაც ამ უკანასკნელს უსაყვედურებდნენ, რომ კენჭის ყრის დროს პარლამენტში მილიერანი წინააღმდეგი არ იყო არც სარწმუნოების ბიუჯეტისა, არც ჯარის შემცირებისა და არც ანტიმილიტარულ პროპაგანდას თანაუგრძნობდა... რეფორმისტების ფრაქცია თავის პარლამენტარულ მოქმედებაში იმდენად უახლოვდება რადიკალიზმს, რომ თითქმის მისგან აღარ განირჩევა... ამ მოვლენას სხვა ქვეყნებშიც აქვს ადგილი. შვეიცარიის კანტონებშიაც სცადეს სოციალისტებმა მინისტრთა კაბინეტში შესვლა, ეს ცდა სამარცხვინოდ გა-

---

*) იხ. „ძველი და ახალი“ გვ. 90-91

**) იქვე გ. 93-94

თავდა მათთვის. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთ ფრაქციას სწადდა, ვიცე-პრეზიდენტის ადგილი სოციალისტმა უნდა მოიპოვოსო. ეხლახან მომხდარმა ავსტრიის სოციალისტურმა კონგრესმა ძლიერ ცუდი ტენდენციები გამოაშკარავა.

იტალიაში ტურატიმ მართალია არ მიიღო სამინისტრო პოროტფელი, რომელსაც აძლევდენ; სამაგიეროდ სამინისტროს მხარს მაინც აძლევს: ბელგიაში ანზელი და ფურნემონი ჟორესის მიმართულებას და აზრს იცავენდდა ნიადაგს ამზადებენ მომავალ კაბინეტში შესვლისათვის'' ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მაგალითების თითქმის დაუსრულებელი გაგრძელება შეიძლებოდა. დღესაც დიდი რევოლიუციის ხანაშიაც არა მარტო ჩვენში, რასაკვირველია, არამედ დასავლეთ ევროპაშიაც ბევრია ისეთი სოციალისტი-რეფორმისტი, რომელიც მსგავს სულიერ განწყობილებას განიცდის.

ერთხელ ბებელმა ჟორესისტებს შემდეგი უთხრა: ,,მე მონარქიის მცველად უნდა გამოვიდე თქვენს წინააღმდეგ. მოხდება თუ არა თქვენში (საფრანგეთში) მუშათა გაფიცვა, იმ წამსვე ჯარს მიუსევენ. ჩვენში კი ამას არ შვრებიან. ეს იმიტომ, რომ მონარქიას არ შეუძლიან სავსებით მიიღოს მონაწილეობა იმ ბრძოლაში რომელიც კლასთა შორის არის აღძრული, მონარქიამ უნდა ხალხსაც გაუწიოს ანგარიშიო''.*)

როგორ მოგწონთ ცნობილი გერმანელი სოციალდემოკრატის აზრი? თურმე ნუ იტყვით, მონარქიამ ხალხსაც უნდა გაუწიოს ანგარიში და აბა როგორ არ გამოვიდეს მის დამცველად სოციალისტი ბებელი? უფრო შორს მიდის უკვე ხსენებული იტალიელი სოციალისტი რეფორმისტი ტურატი. მისი ორგანო ერთ დროს სხვათა შორის სწერდა: ,,პლებისცისტებმა აღიარეს სამშობლოს განთავისუფლების ხელისშემწყობის მეფის უფლება ისე, როგორც მეფემ აღიარა, რომ იგი თვის უფლებას უმორჩილებს ხალხის უმაღლეს ნებისყოფას და სცნობს, რომ მის უფლების კანონიერება ერის ნებისყოფისაგანაა წარმოშობილი. როგორ გზას უნდა დაადგეს თანამედროვე პოლიტიკურ დაწესებულებათა მიმართ მებრძოლი პროლეტარიატი თვისი საკუთარი ინტერესებისა და მისწრაფების მიხედვით? უნდა გულცივად მოექცეს იგი იმ საქმეს, რომლისათვისაც მათს მამებს მრავალი გმირული მსხვერპლი გაუღია და სიძულვილით განშორდეს ტრადიციას და ეროვნულ ცხოვრებას? ამ შემთხვევაში პროლეტარები მეამბოხეები უნდა გამხდარიყვნენ და სასტიკი ოპოზიცია დაეწყოთ მთავრობისადმი. მაგრამ პრაქტიკული აუცილებლობა და რეალური ცხოვრება—უფრო ძლიერი, ვიდრე განყენებული ლოგიკა და მეტაფიზიკური გონებრივი დასკვნები—წამოიჭრენ იტალიის პროლეტარიატის წინაშე, რომელიც შეერია ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში და სარგებლობს წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობით და არსებული კონსტიტუციის თავისუფლებით, რომლისადმი იგი პატივისცემითაა აღჭურვილი და აცხადებს, რომ თვისი სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იგი მოიხმარს ბრძოლის ყველა კანონიერ საშუალებას" *). საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ იტალიელი რეფორმისტები, რომელთაც ტურატი და ბისოლატი მეთაურობდენ, დიდ იმედებს ამყარებდენ პროლეტარიატის მართველ კლასებთან სისტემატიურ თანამშრომლობაზე. სწორედ ეს გარემოებაა, რომელსაც ფხიზელი ყურადღება მიაპყრა იტალიის პროლეტარიატმა. იგი დღითი-დღე ითვალისწინებდა თავს კლასთაშორის თანამშრომლობის მქადაგებელ რეფორმისტ-სოციალისტების გავლენისგან.

ანაბაპტისტი.

*) იქვე გვ. 95. ამ შესახებ იხილე აგრეთვე სოლელი გვ. 87.

*) იხ. ლ. შეინის წერილი იტალიის შესახებ.

ჩვენი აღდგომა *)

სოციალური უთანასწორობა მრავალი საუკუნოებით მომდინარეობს მისი დასაბამი შორეულ წარსულს ეკუთვნის. პირველ-ყოფილი ადამიანი, ღვიძლი შვილი ბუნებისა, სამოთხეთ სახავს იმ ცხოვრებას, სადაც ის ბუნების წიაღში, მრავალფეროვან და მდიდარ ბუნების აკვანში ყოველმხრივ თავისუფლად გრძნობდა თავს. მაგრამ ბუნება თვით იწვევს ადამიანს ბრძოლისაკენ; ამ ბუნებრივ ბრძოლაში იზრდება და იწვრთნება ადამიანის ინტელექტი, ცნობის მოყვარეობა, ფიზიკური სიძლიერე. ბუნება იწვევს ადამიანთა პიროვნებების ჯგუფურ ცხოვრებისაკენ. ჯგუფში პიროვნების ფართო შემოქმედება თანდათან ნულისაკენ მიექანება, და ბოლოს მძლავრი შემთხვევით ხელთ იგდებს ხოლმე ჯგუფის სიმდიდრეს და ხდება მისი ბრძანებელი და გამგე. ამნაირად პიროვნება თავისუფლება და სოციალური თანასწორობა კაცობრიობის ჩასახვიდანვე ღრმად იქმნა ქვესკნელში დამარხული. ასეთი ცვლილება ადამიანთა უთანასწორობისა, ბოროტების წარმოშობისა ადამიანი აწერდა ღმერთებს. ერთი რამ ასულდგმულებდა კაცობრიობას: რწმენა ბრწყინვალე მომავლისადმი, იმედი კაცობრიობის განახლებისა. ხსნას და იმედს ადამიანი იმავე ღმეთებისაგან მოელოდა და მოთმინებით თავჩაქინდრული რკინის უღლის ქვეშ მოელოდა მისიის მოსვლას და განთავისუფლებდა კაცობრიობას ყოველივე ბოროტებისაგან. მაგრამ იმედი ღმერთებისადმი უდაბნოსა შინა იმედით დარჩა და განვლო მრავალმა საუკუნემ და კაცობრიობა საშინელ მონობის ტკივილებს განიცდის. ყოველგან და ყოველთვის იყო ისტორიული უმცირესობა, რომელნიც თავდადებით ეარძოდენ ყოველივე ბოროტებას.—საზოგადოებრივ უთანასწორობას. ასეთი იყო მაგალითად წინასწარმეტყველნი ანტიური ქვეყნებისა და უმთავრესად ებრაელებისა, რომელნიც მხოლოდ ქადაგებით გავლენით და მორალით სცდილობდენ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას. უ'თავრესი მათი შეცდომა იმაში გამოიხატებოდა, რომ იხინი თავიანთი მოძღვრებას მიწიური და ზეციური ღმერთების მანტიაში ხვევდენ და თვით ქნინდენ უარეს საშინლებას.

მრავალტანჯულ კაცობრიობას მოევლინა ქრისტე და ზღვის ტალღებივით მოედო ქვეყანას მისი მოძღვრება: ძმობა-ერთობა, თანასწორობა, თავისუფლება და სიყვარული.

ყველგან ხალხმა სცადა გადაეძრო მონობის უღელი და შეუდგა ქრისტეს მცნებაზე სოციალიზმის განხორციელებას. რომის იმპერიალისტური სახელმწიფო საშიშროებაში ჩავარდა. მან ჯვარს აცვა ქრისტე. მაგრამ მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა იდეა მისმა მოწაფეებმა უფრო გააღვივეს და მოფინეს ქვეყანა კომუნებით. მაშინ ძლიელმა ამ ქვეყნასამ სახელმწიფომ და ბატონთა კლასმა მეფეების მეთაურობით თავს იდვსს ქრისტეს მცნებების და მძტვრების დაცვა, და რაკი ხელთ იგდეს სადავე ქრისტიაეული სოციალიზმისა, ის აქციეს სახელმწიფოებრივი სარწმუნოებად. სოციალიზმი განდევნეს ის უკანასკნელად ჯვარს აცვეს. გამეფდა თაყვანის ცემა ჯვარისადმი, სმხრჩობელისადმი, სახელმწიფოსადმი, მეფეებისადმი, ფეოდალებისადმი, მღვდელ-ეპისკოპეპისადმი, ხატისადმი და მათი სულ ჩამდგმელ კანონისადმი. მას შემდეგ ოც საუკუნემ განვლო და ყოველ წელს გვილოკავენ **ქრისტეს აღდგომას.** ჩვენ კი ვეტყვით მათ ინკვიზიტორებს შორს ჩვენგან იუდეო ქრისტე თქვენ მიერ ტანჯული და ჯვარ ცმული კვლავ გოგოლთას მთიდან დმყურებს ქვეყნიერებას,

თქვენი აღდგომა—აღდგომაა რევოლიუციის მიერ წალეკილი სახელმწიფოსა, ბატონობისა, მონობისა, ყმობისა ძველი ინკვიზიციური სარწმუნოებისა, სამღვდელოებისა, კანონებისა, ჯარისა, პოლიციისა, ჯაშუშებისა, ჯალათებისა, უთანასწორობისი, ეკსპლოტაციისა მონურ კატორღისა—შრომისა და ყოველივე ბოროტების თესლისა.

ჩვენი აღდგომა უკვე მოსჩანს კაცობრიობახ სოციალისტურ ორიზონტზე. უკვე მოსჩანს წითელი მღელვარე დროშა პროლეტარულა სოციალ რევოლიუციისა. ჩვენი აღდგომა—აღდგომა თავისუფლებისა, თანასწორობისა ძმობა-ერთობისა, სიყვარულისა, სოლიდარობისა. ჩვენი აღდგომა—შრომის აოდგომაა. ჩვენი აღდგომა—სოციალიზმის აღდგომაა. ჩვენი აღდგომა—საზოგადოებისა და პიროვნების განთავიიუფლება. ჩვენი აღდგომა—დიუსრულებროვ მოძრაობაა, განათლებაა.

გ. ჯვარიშეიშვილი

დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია.

(გაგრძელელება იხ. „ახ- ნაკადი" № 21)

დრო და გარემოება არ იცდიდა და საჭირო შეიქნა ბევრი რამის გაკეთება რევოლიუციონური ორგანოების საშუალებით. ეს მუშაობა თავს იდვა ინტერპარტიულმა საბჭომ, რომელსაც საქართველოს ეროვნული საბჭო ეწოდებოდა. ჭეშმარიტად, მან დიდი საქმე გააკეთა და ფართოდაც ისარგებლა თავის მდგომარეობით. ეს საბჭო ყველაფერს კი შვრებოდა, რაც უნდოდა და ხალხის დასტურს არ საჭიროებდა. თავის თავი პარლამესტადაც კი გამოაცხადა, ადგენდა და აყენებდა მთავრობა, სცემდა დიდმნიშვნელოვან კანონებს, აწესებდა და აუქმებდა დაწესებულებებს; ერთის სიტყვით ნამდვილი ბატონ-პატრონი შეიქნა რესპუბლიკისა. მერე'ვინ იყო ეს ხალხი? პარტიების დელეგატები, და არა ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები. მაგრამ საქართველოს პარლამენტი ენერგიულად მოქმედებდა და ხალხს არაფერს ეკითხებოდა რადგან იცოდა, რომ მის ზურგს უკან პარტიების სახით თვით დემოკრატია იდგა დი მის მოღვაწეობას მხარს უჭერდა.

ახირებულია ეს, მაგრამ რას იზამთ ასეთია წესი და ლოღიკა რევოლიუციისა. ის არ დაგიდევს ფორმას და კანონს, რომელსაც რუტინა ახასიათებს. რევოლიუცია ჩვეულებათა და ძველი ადათების მიუხედავათ კიდევაც ჭკერავს ცხოვრებას თავის გემოზე. თუ რევოლიუციონური ხალხი თანახმაა და მხარს გიჭერს, შეგიძლია თამამათ გადალახო ყოველგვარი არსებული ნორმები და სრულიად ახალი განწყობილება შექმნა. აი ეს იყო მიზეზი იმ ღირს შესანიშნავი და უალრესად თამამი და გაბედული აქტისა, რომელიც 26 მაისს გამოცხადდა და რომელსაც საქართვსლოს დამოუკიდებლობის ხარტია ეწოდება.

მე ვიტყვი: ამის მეტი რომ არეფერი გაეკეთებია ჩვენს ერთვნულ საბჭოს-პარლამენტს და დაღუპულიყო, მაინც მისი ღვაწლი და ეს გამედული ნაბიჯი ამოუშლელი დარჩებოდა ქართველი ერის გულში იმ დღეს ყველანი ვისაც ბედმა გვარგუნა წილად დავსწრებოდით ამ ისტორიულ აქტის გამოცხადებას, აღტაცეაით გავიძახოდით: „მადლობა ღმერთს! ორ დღეს ხომ მაინც ვიქნებით თავისუფალნი, დამოუკიდებელნი, და მერე ჯანდაბას რაც იქნება, იქნესო".

ამ აქტით ეროვნულმა საბჭომ გააკეთა უდიდესი საქმე და მით მან მიისაკუთრა დამფუძნებელი კრების უფლება, კომპენტენცია. აიღო რა ხელში ეს კვერთხი ძალა-უფლებისა და ავტორიტეტისა, ეროვნული საბჭო, შემდეგ პარლამენტად წოდებული, გაბედულად გაჰყვა რესპუბლიკის შენების საქმეს და ბევრი რამ უკვე გააკეთა. ასე რომ, მართალი რომა ვსთქვათ, ნამდვილად დამფუძნებელი პუნქციების მატარებელი ორგანოთ ყოფილი პარლამენტი უნდა ჩაითვალოს. ეხლანდელი დიმფუძნებელი კრება კი მხოლოდ გაგრძელებაა მისი და თუ გნებავთ არსებითად იგივეა რადგან მომხდარი არჩევნების მეოხებით დიდი უმრავლესობა ყოფილი დელეგატებისა დღეს უკვე დამფუძნებელი კრების დეპუტატის მანდატითაა აღჭურვილი. ასე რომ არსებითად მის შემადგენლობაში არაფერი შეიცვლა.

უნდა შეიცვალოს მისი საქმიანობა, აი რა არის დღეს საფიქრებელი და საზრუნავი რას ვავალებთ ჩვენს დამფუძნებელ კრების, რას მოვითხოვთ მისგან?

პირველი ჩვენი მოთხოვნილებაა: ყოველი ღონით დი საშუალებით და იცვას ჩვენი დამოუკიდებლობა და შეჰქმნას ამისთვის საჭირო ფიზიკური და მატერიალური ძალა. ამ საქმეში მას ჩვენ დაწვრილებით დავალებას არ ვაძლევთ. მის ხელთ არის ჩვენის მხრით მიცემული „ფორტ ბლანშ". სრული უფლება თავისუფალი მოქმედებისა და ყველა ჩვენგანი სიხარულით შეხვდება ყოყელ უკიდურეს ზომას, რომელსაც გამონახავს და მიიღებს დამფუძნებელი კრება ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

მეორე დავალებაა, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ დამფუძნებელ კრებას, ეს არის შედგენა ჩვენი სახელმწიფო კონსტიტუციისა, რომელიც უნდა იყოს სრული გამოხატვა ჩვენი სურველისა მოლოდინისა და იმედისა.

ამ საკითხში კი მივსცემთ მას თავისუფალი მოქსედების უფლებას. იგი შეეხება ჩვენი და მომავალი თაობათა ყოფა-ცხოვრების მოწესრიგებას და ყოველი ბრუნდი ნაბიჯი და შეცდომა, დაშორება ხალხის სურვილებისაგან, ჰბადებს საჭიროებას ზედმეტი ბრძოლას მომავალში.

ყოფილი პარლამენტის წასული მოღვაწეობიდან ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამ საკითხში თვალსაჩინო აზრთა სხვა და სხვაობაა დემოკრატიის წრებში და ვიდრე შემუშავებული კონსტიტუცია მოულოდნელად თავს მოგვეხვეოდეს, ჩვენ უნდა ვსცადოთ გავარკვიოთ ყოველივე, რაც შეეხება მას და ისე მივუდგეთ საკითხის გაოაწყვეტას თუ როგორი უნდა იქნეს კონსტიტუცია ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა.

სანამ ამ საკითხზე პირდაპირ გადავიდოდეთ, მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება ერთ გარემოებას.

მე ვფიქრობ, რომ იმის შემდეგ, რაც მოგახსენეთ პირველი ნაწილის დასაწყისში სახელმწიფოს შესახებ, რომ იგი სახელმწიფო შედეგია კაცთა შორის უთანასწორობის და ბოროტებისა, იგია საშუალება გაბატონებული კლასების ბატონობის შესანარჩუნებლად დი ხალხის დასამონებლად, არ შეიძლება ბევრს თქვენგანს არ დაჰბადებოდეს კითხვა: მაშ რაღა საჭიროა ეს სახელმწიფო, მისი დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია? თუ რევოლიუციამ დაანგრია ძველი სახელმწიფო და დღეს ხალხის ხელშია ძალა-უფლება, ბარემ მოვსპოთ ეს ბოროტება. რომელსაც სახელმწიფო ეწოდება, მორჩა და გათავდა ასეთი კითხვა, მე ვფიქრობ, სრულიად ბუნებრივი და ლოღიკურთა და ამიტოდ იგი ღირსია პასუხისა, მართლაც რაშია საქმე, რატომ ჩავდივართ ასეთ ულოღიკობას? რატომ ვქმნით იმას, რაც ბოროტებას წარმოადგენს და რაც გაბატონებულ კლასების ხელში ხალხის დამონების იარაღია?.

საინტერესოა მოვისმინოთ, თუ როგორ ახასიათებს ფრიდრიხ ენგელსი სახელმწიფოს:

„ვინაიდან სახელმწიფო წარმოშვა იმ აუცილებელი სურვილებიდან, რომ შეკავებულ ყოფილიყო კლასობრივი წინააღმდეგობის გარმეავნება და დამკვიდრდა იგი სხვადასხვა კლასთა შორის ატეხილი ბრძოლის დროს ამიტომ იმ უმეტეს შემუხვევაში ემსახურება უმეტესად მძლავრ, ეკონომიურად გაბატონებულ კლასს. რომელიც სახელმწიფოს დახმარებით ხდება ,ოლიტიკურად მპყრობელ წოდებად და ამნაირად იძენს ახალ საშუალების დაბალი კლასის ექსპლატაციისა და შევიწროებისათვის. ბერძენ-რომაელთა სახელმწიფო იყო პირველ ყოვლისა მონათმფლობელთა სახელმწიფო, რომლის მიზანი იყო მონათა მორჩილებაში შენახვა. ფეოდალური სახელმწიფო ხელნ უწყობდა თავად-აზნაურობას დაეჩაგრა ყმები და მათზე დამოკიდებული გლეხობა. თანამედროვე პარლამეტარული სახელმწიფო იარაღია კაპიტალისტთა ხელში"ო

ამნაირი დახასიათება სახელმწიფოსი ცალმხრივად უნდა ჩაითვალოს. იგი მხოლოდ ერთ მხარეს აქცევს ყურადღებას—ეკონომიურ პირობებს და კლასთა ბრძოლას და სახები არ ღებულობს სხვა ფაქტებს, რომელთაც ადგილი აქვთ ხალხთა ცხოვრებაში, სახელდობრ: ეროვნულს, კულტურულს და რელიგიურს.

მართალია სახელმწიფო აღმოაჩენდა საზოგადოების კლასებათ დაყოფვის ნიადაგზე და უთანასწორობაზე, მაგრამ შემდეგში ამ ორგანიზაციამ დიდი სამსახური გაუწია ყველა ხალხებს თავდაცვისა და კულტურული განვითარების საქმეში.

შინ თუ იგი რისხვა იყო ჩაგრული წრეებისათვის, გარეთ ის ისეთივე რისხვა იყო მოსული მტრისათვის და დამპყრობელთათვის. თუ ერთის ხელით სახელმწიგო აშენებდა ციხეებს, სახრჩობელეებს, ჰქმნიდა ჯანდარმერიას და ადმინისტრაციას, მეორეს ხელით იგი ჰქმნიდა ჯარს თავდაცვისათვის, იცავდა შიგნით წესრიგს და სიწყნარეს, ჰქმნიდა სკოლებს, მფარველობდა მეცნიერებს დახელოვნებას, -შენებდა გზებს, ხიმალდებს და ქალაქებს და საერთოდ შესამჩნევად ეღვილებდა გარემოცულ ბუნებასთან ბრძოლას, რომლის დაპყრობა იმ მასშტაბით, როგორც იმის დღესა ვხედავთ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს დაუხმარებლად. თუ სახელმწიფო ერთის მხრით საზოგადოებაში დამკვიდრებული წინააღმდეგობის და ბრძოლის შედეგია და მისი გამოსახულება, მეორე მხრით იგივეა გამსახურები ეროვნული ძალთა საკვირველი კონსოლიდაციისა, თავმოყრისა ერთ მთლიან, მძლავრ ორგანიზაციაში.

მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ ძველსა და თანამედროვე ხალხთა ცხოვრებას, ნათლად დავინახავთ, რომ ამ ორგანიზაციის გარეშე მათ არ შეეძლოთ შეექმნათ ის ეურაცხელი კულტურული ღირებულებანი, რომელიც მათ მისცეს კაცობრიობას, მათ არ შე!ძლოთ ასვლა განვითარების იმ სიმაღლემდის, რომელზედაც ეხლა ვხედავთ განათლებულ კაცობრიობას.

იმ გრანდიოზული კულტურის შესაქმნელად, რომელიც დაგვიტყვეს ბერძნეკმა, რომაელე,მა, არაბებმა და სხვა არა კმაროდა და ძალღონე ცალკე მოდგმისა, ან თუ გნებავთ მთელი ტომისაც, რომედნიც საგვარეულო წყობილების ორგანიზაციით სცხოვრებდნენ. მათი კარჩაკეტილობა და მოქმედების ასპარეზის სივიწროვე სწორედ მათი ორგანიზაციის ფი-

*) წერილის გვიან მიღების გამო რედაქციას არ ქონდა საშუალება საღდგომო ნომერში მოთავსებისა.

რედ.

ზიკური სისუსტით აიხსნება. მთელი ძალღონე მაშინდელი ხალხისა სჭირდებოდა მკაცრ ბუნებასთან არსებისათვის ბრძოლას და სად შესწევდათ მათ ძალა და საშუალება იმის გასაკეთებლად, რაც რომმა, ბიზანტიამ, ელადამ და თანამედროვე ევროპამ და ამერიკამ გააკეთეს!

ი. ვარაზაშვილი

(შემდეგი იქნება).

საქართველოს დღევანდელი აღმშენებლობითი ხანა და დედაკაცის როლი ამ ხანაში.

დღეს დიდი საალმშენებლო ხანაა ჩვენი ქვეყნისათვის. ასი წლის მონობის შემდეგ გვეღირსა თავისუფალი საუბარი ჩვენ შინაურ საქმეების მოწყობა—მოგვარეობის შესახებ, ჩვენ დღეს დამოუკიდებელნი და პირდაპირი ბატონ-პატრონნი ვართ საკუთარი თავის. ილიას სიტყვები რომ „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუდნოდესო'' აღსრულდა. და ამ განახლების ხანაში ყველანი მოვალენი ვართ, ვისაც კი ეაინტერესებს ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი აკტიური და თანაც შეგნებული მონაწილეობა მივიღოთ საქართველოს აღმშენებლობაში. ეს ასედაც არის საუკეთესო მოძრავი ელემენტები და იმედების გამართლებელნი ამ საქმეში ჯერ ჯერობით მამაკაცებია. დედაკაცები კი აქ არ ჩანან და თუ ჩანან ძლიერ ოოტანი არიან ისინი, სასურველია კი, რომ მათი რიცხვი მეტი იყოს რომ ისინი არსებითათ ჩაებან საქმეში ის აზრი ვითომც დედაკაცი თუ საქმეში ჩაერია ის საქმე დაღუპულიაო, ჩვენ უარვყავით. ჩვენ მომსმენი ღა მოსურვენი ვართ დედაკაცის საქმეში ჩარევის და გვრწამს რომ მათ გამოსვლებს და მუშაობას დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია. ყოველივე ამ ნაზრებს დამტკიცება და არსებითათ საქმით დადასტურება უნდა. თუ დედაკაცებს გინდათ სათანათო ადგილი და ღირსება თანასწორობის ამისათვის საჭიროა თქვენს მიერ ერთგვარი მსხვერპლის გაღება; შრომისა და უნარის დახარჯვა, ოჯახის კედლებს ნახევრად მაინც საცილება და საერთო საზოგადოებრივ ფერხულში ჩაბმა. ყოველივე ამას მისთვის ველაპარაკობთ' რომ გვინდა განახლებულ საქართველოში დავინახოთ სულით მდიდარი, ჭკვიანი და გონებით მომწიფებული დედაკაციც; რომელიც ნამდვილ ღირსეული და თანაბარი შენაწევრი იქნება ჩვენი საზოგადოებისა. არ ვიტყვი იმას, რომ დედაკაცის ხმა რევოლიუციის მსვლელობის დღეებში არ ისმოდა ჩვენში,

არა ეს ტყვილი იქნება და ამის დაწამება არც მე მსურს დედა-კაცისათვის. ხოლო მე მინდა აღვნიშნო ფაქტი, რომ მათი გამოსვლა არ იყო ძლიერი, თვალსაჩინო.—დღეს კი უფრო და უფრო სუსტდება დედაკაცის როლი. ეს კი არ უნდა ხდებოდესა რაც დღე გადის ისინი შესაფერ გამოცდილებას და უნარს უნდა იმატებდენ, რომ უფრო ენერგიული ნაყოფიერი იქნეს მათი მუშაობა მამაკაცებთან ერთად. აუცილებელია დედაკაცების მეტი შეკავშირება-შეერთება და გამოფხიზლება. ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში დედაკაცის ხმა უნდა ისმოდის გარკვეულათ და სავსებით მთლიანათ. ეს კი მაშინ მოხდება თუ დედაკაცი თავის თავს დააფასებს და შესაფერ ადგილს მიუჩენს ჩვენი ცხოვრების წინმძღოლობის სფეროში. მომზადება და კიდევ მომზადება, აი რა არის საჭირო. ძველი შეგნება და ფუფუნებითი პრივილეგიები თვით დედაკაცმა უნდა თავიდან მოიცილოს, რადგან ასეთი რამ მის პიროვნებას ამცირებს. ერთხელაც არის სწორ გზას თანასწორი თანამშრომლობის უნდა აუცილებლათ დაადგეს დედაკაცი. და თუ მათი ზოგი მოთხოვნა არ იქნება მიღებული მოწონებული მამაკაცების მიერ (რადგან დღესაც გვყვანან ისეთი პირები, რომელთაც არაფერი სწამთ დედაკაცის) მაშინ დედაკაცმა უნდა ძალით დაიცვას თვის უფლებები და აღადგინოს იგი. მაერამ მე მწამს რომ ეს არ იქნება საჭირო, რადგან დღეს უმრავლესობა მამაკაცების მზათ არის დედაკაცს მოუსმინოს, მისი სიტყვაც გაიგონოს და მიიღოს და თუ ეს ასე არ ხდება მთავარი მიზეზიც თვით დედაკაცს მიუძღვის ამ შემთხვევაში; და რომ ეს ასე არ გაგრძელდეს საჭიროა უფრო მეტი სიფხიზლე-მეცადინეობა და დაინტერესება თვითონ დედაკაცის მიერ საზოგადო საქმეებით, რომ მისი ჩაბმა ამ საქმებში ლოღიკურათ გამომდინარეობდეს მისი ცოდნიდან და შრომის უნარის დახარჯვიდან. ჩვენ გვწამს, რომ ყოველივე ამის შესრულება დედაკაცს შეუძლია —ვუცდით მის შესაფერ გაბედულ ხმასაც ჩვენი ქვეყნის ამ აღმშენებლობის დროს.

ივ: კანდელაკა.

ჩვენს კავშირში

კვირას, 27 აპრილს, საღამოს 7 საათზე პირველ რაიონის ბიუროში დანიშნულია საერთო კრება ჩვენი ამხანაგებისა. მოხსენებას გააკეთებს ალ. წერეთელი, ბესო ქელბაქიანი, ალ. იოსელიანი და სხვა ამხანაგები.

აგრეთვე ამ დღეს მოხდება ტრამვაიელ ამხანაგების საორგანიზაციო ახალი არჩევნები.

ორშაბათს საღამოს 6 საათზე „ახ. ნაკადის" რედაქციაში ოანიშნულია მთავარ კავშირის ფედერალურ. საბჭოს სხდომა.

განსახილველია სხვა და სხვა საკითხები.

ახალი აბბავი.

კერძო ცნობებით კავკავში დენიკილები ქართველებს საშინლად ავიწროებენ, სხვათა შორის ყველა ქართველი სამხედრო ტყვედ გამოუცხადებიათ.

თენიკინს თურმე ძალიან ცუდ დდეს აყენებენ ბოლშევიკები და ინგუშები ასე რომ მოხალისეთა ჯარის დღეები კავკავისაკენ დათვლილია.

(ს.)

ინგლისის ექიმის მკვლელობის საქმე.

20 აპრილს ღამეს მოკლულ ინგლისელ ექიმის მკვლელთაგან დააპატიმრეს ხუთი: ელენტი, ცინცაძე, ბარამიძე, მუხაშარია და ბერძენიშვილი ვერ იპოვეს მეექვსე დამნაშავე პაიჭაძე. მთავრობის განკარგულებით 24 აპრილს საგანგებო სასამართლოში სასწრაფოდ გაირჩა დაპატიმრებულთა საქმე. სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯათ ელენტს, ბერძენიშვილსა და ბარამიძეს, 20 წლის კატორღა ცინცაძეს; 15 წლის კატორღა მუხაშაურიას. გასამართლების შემდეგ ტუსაღები მიიყვანეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში საიდანაც გაძლიერებული დამცველ რაზმის თანხლებით ღამის 2 საათზე ტუსაღები წაიყვანეს ყოფილ სამხედრო სასწავლებელში დასამწყვდევად. როდესაც სამხედრო სასწავლებელს დაუახლოვდენ, ელენტი და ბერძენიშვილი სხვა და სხვა მხრივ გაიქცნენ. დამცველებმა სროლა აუტეხეს დანარჩენებს. მოჰკლეს ბარამიძე და ცინცაძე.

ომის აპოთეოზი.

წითელი ველი...
ზედ შავი გველი
მიმოსრიალებს;
ქარი ქვითინებს...
ტყვია ზუზუნებს,
დახეტიალებს

* * *

სიცოცხლე არ სჩქეფს..
ზარბაზანი ჰყეფს
და არეს აპობს;
ითრობა სვავი...
სიკვდილი მწვავი
ყველაფერსა სპობს.

* * *

კაცთ სასაკლაო...
ძმათ სასაფლაო...
თეთრი, ხის ჯვრები.
ნანგრევნი სოფლის...
კვნესა შიგ მყოფლის...
და სისხლის ღვრები.

* * *

ცაზე ბურვა მზის...
სერს მგელთ ხროვა ზის—
დაჰღრენს მიდამოს;
გაჰკივის დედა...
—გლოვბსშვილზედა—
იგლეჯს თვის სამოსს.

1919 წ. **ს. ერთაწმინდელი**

უვნებლათ გადრჩა მუხაშური, რომელიც სროლის დროს მიწაზე გაწვა სროლის დროს შძიმედ დაიჭრა სასხლის სამართლის მილიციონერი ყუფარაძე.

ეაზბეგთან დატუვებულ ბოლშევიკების შესახებ. გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობეეიდანა სჩანს, რომ თითქოს ყაზბეგის მოსაზღვრე რაზმის უფროსს პოლკ. წერეთელს კავკავიდან გამოქცეული ბოლჰევიკები დაეჭიროს და ყაზახებისათვის გადაეცეს. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს არავითარი ცნობები არ მონპოვება. მინისტრის განკარგულებით პოლკოვნიკ წერეთელს ებრძანა დაწვრილებითი მოხსენება წარმოადგინოს ამ საქმის შესახებ ნამდვილად მოხდა თუ არა ასეთი რამ.

მივესალმეგით

საქ. რევოლიუციო სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირს და ვფიცავთ, რომ უკანასკნელ ამოსუნთქამდ-ს ვემსახუროთ არჩილის სინდიკალიზმის წმიდა დროშას.

მუშა **აკაკი ჩიტორელიძე**
მოწაფე **გიორგი ოყრეშიძე**

პროვინცია

სად. ქუთაისი. ახლანდელ არეულ-დარეულ დროში, აღარაფერი არაა გასაკვირალი; მაგრამ ისეთ შეუსაბამო უწესოებას და ისიც ასეთ საპატიო სადგურზე, როგორიცაა ქუთაისი—სრულებითაც არ უნდა ქონდეს დღეს ადგილი! ასეთ არა სასიამოვნო ამბვბის მოწამე მხოლოდ აწ უკვე განსვენებულს დროში ვხდებოდით და თავს იმით ვინუგეშებდეთ, რომ ახლო მომავალში ბოლო მოეღებოდა. ეს დიადი დროც გვარგუნა ბედმა; მაერამ ჯერ-ჯერობით, გარდა კერძო ხასიათის კინკლაობისა, არა გაგვიკეთებია:რა და, ამის გამო, იჩინა თავი ყოველგვარმა საზიზღრობამ. აქ, თუ ვინაა დამნაშავე და რა გვიშლის ხელს, მე არ შევეხები, რადგან თვით მკითხველიც კარგათ გაარკვევს, იგულისხმებს!.. მარტო ერთი თბილ-თბილი სიტყვები და თანაც თავზე ხელის მოსმა, ვერავის ვერ იხსნის უხეში ბრბოს ულმობელ ბრჭყალებიდან და ყოველი ცდა ამაო იქნება!

წარსული თვის უკანასკნელ რიცხვებში აქ გავხდი სწორედ აღმაშფოთებელი ამბავის მოწმე: მეორე კლასის დარბაზში მივიდა შკაფის გამგესთან მგზავრი და იყიდა გაზეთი „აგალი ნაკადი", რომელმაც დაუწყო თურმე გადათვალიერება სანამ 2—3 წუთი გავიდოდა გულზე საათი ჩამოხსნეს სინდის-ნამუსზე ხელაღებულმა ჯიბგირმა. ერთი მივიდა თურმე და განგებ კითხვა დაუწყო, თუ რა ახალი ამბავია შიგ მოთავსებული; მეორემ კი ამასობაში თავიანთი სამარცხვინო ხელობა შეასრულა და მიიმალა. მგზავრმა თუმცა მაშინათვე იგრძნო, მაგრამ ამაოთ; სრულებითაც ვერას გახდა! ესე გასინჯეთ მისი უბედურება, რომ ამ დროს სადგურზე არც ერთი წესიერების დამცველთაგანი არ აღმოჩნდა. ამით მაინც არ დაბოლავებულა კიდევ შემთხვევა.

გავედით თუ არა მესამე კლასის დარბაზში, შეუდექით სათითაოდ მგზავრების გადასინჯვას, რომ აღმოგვეჩინა როგორმე დამნაშავე პირი; მიგრამ ამის ნაცვლად იქვე იატაკზე მწოლიარე ავათმყოფ ქალს მოვჰკარით თვალი, რომელსაც ძუძუმწოვაოა ბავში ეჭირა ხელში და ისეთსავე მწუხარებას განიცდიდა, როგორც თვით საათის დამკარგავი, პატრონი საცოდავისათვის ხელის ბეჭედი და სამგზავრო გროშები ამოეცალათ ჯიბიდან მართალია, ვანუგეშეთ, მაგრამ ნაკლს განა ნუგეში შეუვსებდა?! მორთო ქვითინი დნ წყევლა-კრულვით იხსენიებდა მის ასეთ მდგომარეობაში ჩამგდებს.

ის იყო, რომ ჩამოვშორდი მათ, მაგრამ წინ გადამეღობა ვიღაც ღვინით გალეშილი და თავისებურათ მორთო ღრიალი სინღერა. როცა იქვე მდგომმა მგზავრებმა შენიშვნა მისცეს და ეს აღუკრძალეს მან ქუჩურ ლანძღვა-გინებას მიჰყო ხელი მაგრამ სამაგიერო არავინ გადაუხადა და ძლივს გაეთრია გარეთ. მოახლოვდა მატარებლის გასვლის დრო და როგორც იქნა ერთი წესიერების დამცველი გამოჩნდა, რომელიც ისე შეზარხოშებული იყო ღვინით, რომ ბევრათ არ განირჩეოდა იმ მთვრალი კაცისაგან. როცა მივედი ამ უკანასკნელთან და თავაზიანათ მოვსხენე ეს ამბავი, არაფრათ მიიჩნია და მოკლეთ მიუპასუხა: „აპეკუნი არავის სჭირიან"-ო. მეც ჩამოვშორდი.

ეს არის გაისმა პირველა ზარის ამარომ მგზავრები დაინძრა მატარებლისაკენ ჩასასხდომათ. მაგრამ არც აქ იყო წეს-რიგი დაცული, ვინ ვის ებრძოდა და უშვერის სიტყვებით ამკობდა, ალბმა უწყის!.. როგორც იქნა გამოველით და აცრემლებული რიონის სადგურზედაც საკმაოთ დამხვდა. წესიერების დამცველები, არც აქ იჩნდენ მაინცა და მაინც დიდ ენერგიას. ეს კია, რომ თავის პოზიციაზე იდგნენ; მაგრამ სუსტათ—ცხადია, როა იარაღი მარტო წელის სამშვენებლად არაა, მით უნდა იცავდნენ წესიერებას და მგზავრებს შეტავათი ეძლეცდეს.

საჭიროა ვისაც ეკუთვნის ზედმეტი ფხა გამოიჩინოს და ყურადღება მიაქციოს მაგვარ უწესოებას თვითეულს სადგურზე, თან გააფრთხილოს წესეერების დიმცველები, რომ მორიგეობის დროს არ დასტოვონ ასე ღვთის ანაბარათ თავიანთი სადარაჯო ბინები, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასტიკათ დასაჯოს დამნაშავე პირები!..

„თაგვისარა".

სოფ. ნავარძეთი (ჭიათურის რაიონი). აქაური მშრომელი ხალხი, თავის ცხოვრებას ბრძოლით აწარმოებდა შავანელ რეაქციასთან, და იგივე გზა დასჭირდა „მმართველ პარტიასთან", ამ უკანასკნელების ხრიკები კი არამც თუ ამ რაიონშა, მთელ საქართველოშიაც ცნობილია—მაშასადამე ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. პირველი მაგალითი მთელ რაიონში ამ სოფელმა გადსდგა არჩევნების დროს—მთელმა შეგნებულმა ნაწილმა ამ სოფლისამ მმართველ პარტიას უნდობლობა გამოუცხადა. აქედან ჩვენ შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ რომ ეს სოფელი მიკრულია ჭიათურას და ცხადია, რომ ყოველივე შრომა საწყალი ხალხისადმი მმართველი პარტიის, მათ უკვე ამ ორი წლის განმავლობაში ნათლად დაინახეს და ამისდამიხედვით მათ ნუმერსაც უარი უთხრეს. გამოჩნდა მეორე პარტია ეგრედ წოდებული ეროვ. დემოკრატები, რომლებმაც დაიქირავეს ამ სოფლის ერთი „გაკოტრებული" აზნაური, ამ უკანასკნელმა კი თავის ქონება „წითელ ღვინოში" დააგირგვა და ალბად იმ იმედით დაძრწის სოფელში, რომ ეს ბურჟუაზიული პარტია მეც „ბურჟუათ" გამხდისო, მაგრამ ამაოდ ამ სოფლის შეგნებულ გლესობას მისი საზიზღარი წარსული კარგათ ახსოვს და ადვილადაც მის ანკესზე ვერ წამოეგებიან.

აქაური ხალხის სულისკვეთებაც შემდეგში გამოიხატება: არავითარი იჯარა მიწაზე და არავითარი ფასი [illegible] მთელი მიწები უნდა გადავიდეს მშრომელი ხალხის ხელში. [illegible] ნაირ პარტიას, რომელიც [illegible]ოუწოდებს ხალხს ბურჟუაზიულ სახელმწიფოსკენ კი არა. რომლის ნიშნებს ეხლა ხედავენ, არამედ დემოკრატიულისკენ მაინც.—აი გამოძახილი ხალხისა, რომელსაც უნდა მიბაძონ სხვა სოფლის გლეხებმაც.

გერასიმე ნავარძელი.

სახელმწიფო თეატრი.

ძლიერ ვწუხვარ რომ, მე, ქართველს მიხდება ერთი და იმავე საგანზე, რომელიც თვითმპყრობელის დროს იყო ყოველმხრიდან შეხუთული, გამწარებული და ყოველივე სახსარს მოკლებული, დემოკრატიულ რესპუბლიკამი, წერა.

დიდმა რუსეთის რევოლიუციამ ჩვენ გვარგუნა 26 მაისი 1918 წ. ამ ბრწყინვალე დღის შუქი უნდა მოფენოდა ყველა დარგის მომუშავეთ, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, ქართული სცენის მოღვაწენი განიცდიან კვლავ იმ დევნას, სიმშილს, უსახსრობას, რომლითაც ჩვეული იყვნენ თვითმპყრობელობის დროს და რომელიც ცდილობდა ჩაეკლა ქართული სცენა, რადგან იგი გრძნობდა რომ ქართული ხელოვნება არის გამღვიძებელი და გამტკიცებელი ეროვნული სულის და შემანარჩუნებელი ქართული ენისა.

სახელმწიფო თეატრის კომისარის „მოქალაქე" ალ. წუწუნავასი მოქმედება ქართული თეატრის მსახურთა მიმართ არ განირჩევა იმ „თამამშევებისა, რომლებიც ბინადრობდენ ყოფილ „სახაზინო თეატრში".

ქართველი მსახიობნი: ვასო აბაშიძე—ურუმი ქართველი სცენისა შალვა დადიანი—ნიჭიერი რეჟისორი, ვ. გუნია—ნიჭიერი მსახიობი და სხვანი მშვენეებაა და საამაყო ქართველი ერისა!.

თუ რამე ქართული გვაბადია—არის შედეგი მხნე და გაბედული მუშაობისა ზემოთ დასახელებულთა.

იცის თუ არა „მოქალაქე" კომისარმა, რომელთაც იგი სდევნის თუ რა ღვაწლი მიუძღვით მათ ქართულ სცენისადმი და ქართველ ერისადმი?!

თუ იცის ჩამოდგეს, გზა უტიოს და უთხრას: „თქვენ ქართველნო, ხელოვნების მუშაკნო, თქვენ გეკუთვნის საქართველოს დდესასწაულის სუფრაზე პირველი ადგილი, თქვენ ეს დაიმსახურეთ და აჰა ქართველი ერი მადლობას ამით გიძღვნის"-ო.

ასეთ მოპყრობის მაგიერ ჩვენ რას ვხედავთ? კვლავ დევნას, ქუჩაში ბშიერ-მწყურვალ მოხეტიალეთ, შერცხვენილთ! ვის მეოხებით არის ესთვით მათი „ამხანაგი"-ს.

ნუ თუ ღირსია „მოქალაქე" კომისარო ასეთი დევნის ჩვენი დამსახურებული მსახიობნი?!

გაფაციცებით ვათვალიერებდი ქართულ პრესის მსვლელობას, და ჩემდა საუბედუროდ და სასირცხო უნდა ვაღვიარო რომ არც ერთ პრესას, განურჩევლად მიმართულებისა არ მიუქცევია ყურადღება ასეთ უმწეო, ქართველ მსახიობთა მდგომარეობაზე. სხვა ერის პრესამ ყური მოჰკრა („სევრნი კავკაზმა" № 24) ჩვენი სცენის მშვენების მოღვაწეთა მდგომარეობაზე და ჩვენ... ვაი სირცხვილო!!!

იცის თუ არა ქართველ საზოგა-

რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო წერილი დროების შეჩერებული იყო,

რედ.

დოებამ და მთავრობამ რომ ქართული ხელოვნების მსახურნი ,,მოქალაქე'' ალ. წუწუნავას მიერ ქუჩა-ქუჩა დაძრწიან!? თუ იციან რატომ ერთხელ მაინც არ შეეკითხნენ ,,მოქალაქე'' კომისარს ,,რას სჩადიხართ გონს მოდით?! და თუ შეკითხეს— რატომ საჯაროთ მის მოქმედებას არ გაკიცხავენ და სათანადო პირს არ ჩააბარებენ სახელმწიფო თეატრის ბედ-იღბალს!?

ამ ჰატარა წერილით მე მსურს ვამცნო საზოგადოებას თუ როგორი მზრუნველობა გამოიჩინა ,,მოქალაქე'' ალ. წუწუნავამ, როგორც სახელმწიფო თეატრის კოაისარმა, ქართულ სცენისადმი და მათ მსახურთა მიმართ.

გასულ წელს მარიამობისთვეს, მთავრობამ მიმართა ალ. წუწუნავს წინადადებით, როგორც კომისარს, შეადგინა ქართული დასი სახელმწიფო ხარჯით. ,,მოქალაქე" კომისარის საიდუმლოებას შეადგენს თუ ვისგან შეადგინა დასი და წარუდგინა მთავრობას ჯარჯთ-აღრიცხვა, რომელიც მთავრობამ უარყო. ამის შემდეგ ქართულ დრამატიული -საზოგადოებამ იკისრა სეზონის ტვირთვის აღება, რომელსაც ორი თვის ადრე შეძენილი ჰყავდა სტუდია ბ-ნ გ. ჯაბადარის რეჟისორობით, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ ხელოვნების შესწავლა ორ თვეში ყოვლად შეუძლებელია: რისთვისაც იგი სამართლიანად საზოგადოებამ ცოცხლათ სამარეს მიაბარა.

აი ამ დროს ჩვენი სახელოვანი მსახიობნი უყურადღებოდ, ობლად დარჩენილნი ქუჩა-ქუჩა მშიერ-მწყურვალნი დაეხეტებოდენ!

დადგა კრიზისი. გამოსავალი არ ჩნდა. შესაძლო იყო წელს ჩვენი საზოგადოება უსეზონოდ დარჩენილიყო. იძულებული შეიქნა ,,მოქალაქე'' კომისარო მიემართა ნამდვილ სცენის მოღვაწეთათვის,

ქართულ მსახიობთა კავშირის გამგეობამ ამცნო მთავრობას მიზეზები, რომლის შედეგი ნაყოფიერი არ იქნებოდა სეზონისათვის, როგორც ჩხეიძის ასულის ისე სხვა მსასიობთა ქალაქში არ ყოფნა, მაგრამ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ,,კავშირმა'' თავს იდვა სეზონის გაძღოლა.

აი მკითხველო! აქედან იწყება მთელი ტრაღედია ჩვენი სასიქადულო მსახიობთა მუშაობისა ალ. წუწუნავას მოქმედებით.

უპირველესად ყოვლისა კომისარმა აუკრძალა რეპეტეციების მოწყობა თვით თეატრში და იგინი იძულებულნი გახდენ მოეწყოთ სადღაც სხვა ბინაზე. ბევრი მუდარის შემდეგ ,,მოქალაქე'' კომისარმა ნება დართო რეპეტიციების მართვის თვით თეატრში, მხოლოდარა სცენაზედ არამე დდარბაზის ფოიეში.

არც ასეთი მოპყრობით დაკმაყოფილდა ჩვენი ,,თამამშვი''. განუცხადა ,,კავშირის'' თავმჯდომარეს: ,,თუ თქვენი წარმოდგენები ყავარჯენის შემოსავალს არ მომცემენ—იმ შემთხვევაში სეზონს დაგიხურავთო?''

როგორია მკითხველო?!

რა პირობით ჰატივცემულო კომისარო?

არაფერი არ დარჩა კავშირს, გარდა იმისა, რომ დაედგა ისეთი პიესა, რომელიც მეტ ყავარჯენის შემოსავალს მისცემდა კომისარს.

ასეთი პიესა იყო ,,სინათლე'' ი. გედევანიშვილისა. ასეთი მიმართვით კომისარს სურდა მოენახა რამე მიზეზი, რათა თეატრიდან დაეთხოვა არა სასურველი სტუმრები!!

აი აქაც მოსტყუვდა ალ. წუწუნავა. ბევრის ფიქრის შემდეგ კიდევ გამონახა მიზეზი და აუხირდა საწყალ სცენის მოღვაწეთ. ,,თქვენ სდგამთ არა შინაარსიან პიესას, გამოცვალეთ რეპერტუარი თორემ... სეზონს დაგიხურავთ'', აჰა ღმერთო! გინახავთ სადმე ასეთი ახირებული პიროვნეაა? ,,მოქალაქე'' კომისარმა შეეცადა დროს გამოშვებით წაერთვა ის ორი დღე კვირაში, რომლის გულისათვის ამდენი უბედურება დაატეხა მსახიობთ თავს. რასაკვირველია, ამაზე სამართლიანი წინააღმდეგობა მიიღო კავშირის გამგეობის თავმჯდომარე შალვა დადიანისაგან. აუსრულდა წადილი ,,მოქალაქე'' კომისარს! ურჩობისათვის კარზე უჩვენა და ეს კარზე თითის ჩვენება ვითომ მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას სურვილი იყო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი მოპყრობა, ვიმეორებ, არ ახსოვს ჩვენს დამსახურებულ მსახიობთ არც ერთ ნიკოლოზ მეორის ჯალათის მიერ!

აი მოკლეთ ის თუ რა დღეშია და ვის ხელშია ჩვენი ეროვნული სულის განმტკიცება და ქართული ხელოვნების ბედ-იღბალი!!!

ეხლა მკითხველო მსჯავრის დადება თქვენ გეკუთვნით.

,,ვინმე''.

ფარმაცევტთა ცხოვრებიდან.

ამ მოკლე ხანში ფრიად დიდ მნიშვნელოვანმა მომენტმა გაირბინა ჩვენს თვალწინ. მიძინებულს ტფილისის მუშათა ცენტრს ბაქოს პროლეტარიატმა პირველმა მოაგონა ამიერ-კავკასიის მუშათა ყრილობის მოწვევის აუცილებლობა, სადაც უნდა თქმულიყო მტკიცე მუშური სიტყვა მუშათა კლასოს საკეთილდღეოთ. ასეთს მოვლენებს დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის ისტორიაში, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მოვლენა სათანადოთ ვერ გამოვიყენეთ და შემაერთებელი ხიდი ამიერ კავკასიის პროლეტარიატისა, თუ სამუდამოთ არა დროებით მაინც, რაღაც უცნაური ძალით ჩატყდა. ჩატყდა სწორედ იმ დროს, როდესაც სოციალისტური რევოლიუცია ევროპელს მსოფლიოს წითელის დროშებით ჰკარგავს და საერთო ენის გამონახვა აუცილებელი იყო და ფრიად საჭიროც თუ რამ შეუშალა ხელი და რა დაბრკოლებები გადაეღობა წინ ამას მომავალში ისტორია აღნიშნავს, მაგრამ მკითხველის ყურადღება მე სულ სხვა გარემოებას მინდა მივაქციო. ზემო ხსენებულ ყრილობაზედ დელეგატების ასარჩევათ და გასაგზავნად მოწვეულ იქნა ქ. ტფილისში მოსამხახურე ფარმაცევტთა **არაჩვეულებრივი** კრება და დაადგინა: აუცილებლათ იქნას დელეგატები არჩეული ამიერკავკასიის მუშათა კონფერენციაზე და თუ ასეთი არ შესდგებოდა იმ შემთხვევაში არჩეული დელეგატები დასწრებოდენ ადგილობრივ ყრილობას და რიმე წვრილი შეეტანათ მათის თანამშრომლობით მუშათა საკითხებში. რეზოლიუციის გამოტანის შემდეგ ჯერი მიდგა არჩევნებზე. ასარჩევი იყო სამი დელეგატი. კანდიდატები ყველა ფრაქციებიდგან იყო წამოყენებული, რის შემდეგ მოხდა ფარული კენჭის ყრა და გავიდა აბსოლუტურის ხმის უმრავლესობით დელეგატებათ ამხ. ჩიკვაიძე, კაჩხოვი და მიქაბერიძე ე. ი. ერთი მაშვრალთა პარტიის, ერთი კომუნისტების და ერთიც ფედერალისტების კანდიდატი. ამ მოვლენამ თავზარი დასცა მენშევიკებს. აქ მათ პირველათ იგრძნეს, რომ შეგნებული ნაწილი პროლეტარიატისა მათ ორჭოფ პოლიტიკას აღარ მისდევს და რომ რამენაირათ ჩაეშალათ არჩევნები და ამით შემდეგისათვის საკ. საქმე გამოეკეთებიათ, ისეთ საშუალებასაც კი მიმართეს, როგორიც არის „დანოსი". სწორეო „დანოსის" საშუალებით ისინი მოითხოვდენ კონფერენციისგან—არ დაეშვათ ჩვენი წარმომადგენლები, მათის აზრით, როგორც არა კანონიერი არჩეულები. ამ საშუალებით მათ უნდოდათ დრო მოეგოთ და შემდეგ საერთო კრებაზე, რომელიც იყო დანიშნული რამოდენიმე დღის შემდეგ სულ სხვა საჭარო საკითხების გასარჩევად, მოეხდინათ ხელახალი არჩევნები, მაგრამ ამ ცდამაც უნაყოფოთ ჩაუარათ და ფლავის საჭმელათ გამზადებული კოვზი ნაცარში ჩაუარდათ. მეორე კრებამაც კანონიერათ იცნო წინა კრების არჩევნები, სრული ნდობა გამოუცხადა არჩეულთ და სასტიკათ დაგმო მენშევიკების უგვანო საქციელი, რის შემდეგ მენშევიკები იძულებულნი გახდენ კრება დაეტოვებინათ და კუდამოძუებული გასულიყვნენ დარბაზიდან.

დაბოლოს მინდა შეგეკითხოთ ბ-ნო ჩიჩუა და კამპანიავ! გქონდათ თუ არა ან ზნეობრივი და ან იურიდიული უფლება, იმის შემდეგ, რაც კრება კანონიერათ იქნა აღიარებული და კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღეთ, არჩევნები არა კანონიერათ გამოგეცხადებინათ? და თუ გქონდათ მაშინ სად იწყება თქვენი ლოღიკა და სად თავდება თქვენი ულოღიკობა? მაგრამ თქვენგან ხომ ყველაფერი მოსალოდნელია!!!

უფვოლაშვილი.

P. S. აგრეთვე კრებამ იქონია მსჯელობა ქალაქის თვითმართველობის მუშების გაფიცვის შესახებ და რეზოლიუციაში დაახლოვებით ასეთი აზრი გაატარა რომ მოსამსახურების გაფიცვას ქონდა წმინდა ეკონომიური ხასიათი და ქალაქის თვითმართველობისაგან მიღებული რეპრესიული ზომები მუშების წინააღმდეგ დაგმო და შტრეიხბეხერების მოქმედება გაკიცხა. კერძოთ ქალ. თვითმართველობის მოსამსახურე ფარმაცევტების ადგილზე კრების დადგენილებით პროფესიონალური კავშირი არავის არ გზავნის და ერთად ერთს კანდიდატებათ (აღნიშნულ ადგილებზე) ასახელებს გაფიცულ ამხანაგებს.

უფვოლაშვილი

წერილი რედაქტორ, მიმართ

მოქალაქე რედაქტორო *)

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბალშევიკების) კავკასიის საოლქო კომიტეტი მოგმართავთ, ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ჩვენ შემდეგ განცხადებას:

ამა წლის 8 აპრილს (ახ. სტ.) შემდეგი ამბავი მოხდა.

საქართველოს სამხედრო გზაზე დარიალის ციხის და სად. ყაზბეგს შუა საქისტეთის (ინგუშეთი) საზღვრიდან გადმოვიდნენ თერგის ოლქიდან გამოქცეულნი ორმოცამდე კაცი და ქალი ბავშვებითურთ; ამთგან უმრავლესობას შეადგენდენ წითელ-არმიელები და საბჭოთა მთავრობის მოღვაწენი. სახელდობრ გადმოსულებში იყვნ: ოჯახობა ბუტირინის, ელერდოვის, გეგეჭკორის და მარკუსის (ქილინა); მეხუთე დედაკაკის გვარი ჯერ არაა ცნობილი. ბუტირინის ოჯახობას თან ახლდა სამი ბავში. მამაკაცებში, რომელთა გვარები ვიცით, იყვნენ: ალექსანრუე დიაკოვი (ყაზახ წითელ-არმიელთა კომანდირი), თედ. ტახოვი (დიაკოვის შტაბის უფროსი), ამხანაგი ქალი (კავკავის სოვდეპის სასურსათო განყოფილების გამგე), შჩეტილოვი (შრომისა და წარმოების განყოფ. გამგის თანაშემწე), ამხ. ნაუმოვი და ოლენიკოვი (კავკავის სოვდეპის წევრები), კიზიროვი (გროზნის სოვდეპის წევრი), წითელ-არმიელები ფრილკი და ტრვდიაკოვი. სამწუხაროთ დანარჩენ წითელ-არმიელების გვარები ჯერ ჩვენ ვერ გავიგეთ, მაგრამ იმათი გვარების გაგება ადვილათ შეიძლება სულ მოკლე ხანში.

ესენი იყვნენ თითქმის სულ ყველა კავკაველი და გროზნელი რუსი მუშები. ყველა ეს პირები, მას შემდეგ რაც დენიკინის ჯარმა დაიკავა კავკავი და გროზნო, გახიზნული იყვენ ქისტებში (ინგუშებში) და ჩაჩნებში.

როგორც აღნიშნულია ზევით, ყველა ამათ დიდის წვალებით და გაჭირვებით საქისტეთის მხრიდან გადმოლახეს კავკასიონის ქედი და გამოვიდნენ პირდაპირ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სრულიათ დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მათ მიანიჭებდა დროებით თავ-შესაფარს და იმავე დროს შეაძლებინებდა მოკლე ვადაში გამგზავრეეულიყვენ თავიანთ სამშობლო ქვეყანაში (რუსეთში).

8 აპრილს, დილის 8—9 საათზე ისინი უკვე იყვენ გამოსული საქართველოს სამხედრო გზაზე, დარიალის ციხის აქეთ, სადაც საქართველოს რესპუბლიკის ჯარის კაცების სადარაჯო დგას. ქართველმა ჯარის-კაცებმა ყველა ლტოლვილნი ქალებიანა და ბავშებიანა წაიყვანეს თვით დარიალის ციხეში კაპ. ნაჭყეპიასთან, რომელმაც ეს ამბავი მყისვე აცნობა ტელეფონით ყაზბეგში პოლკოვნიკ წერეთელს. ეს უკანასკნელიც ცნობის მიღებისთანავე გამოცხადდა დარიალის ციხეში.

პოლკ. წერეთლის განკარგულებით დედაკაცები და ბავშები დაჭერილები გამოგზავნეს თბილისში, სადაც ისინი დატყვევებული იყვენ დღენახევარს. რაც შეეხება მამაკაცებს, წერეთელმა ჯერ უბრძანა იმათი გაჩხრეკა, ართმევა რაც კი მათ ფული ქონდათ და შემდეგ ამისა უბრძანა იმათი გადაცემა ყაზახებისათვის. ასეთი მისი განკარგულება დაუყონებლივ სისრულეში იქნა მოყვანილი, და ამრაირათ ოცდათერთმეტი წითელ-არმიელი და საბჭოთა მთავრობის მოღვაწენი სრულებით საქმის გამოურკვევლათ გადასცეს კონტრ-რევოლიუციონერ კაზაკებს დასახვრეტათ და ჩამოსახრჩობათ. ამათგან რვა კაცი გზაშივე გადაცვივდნენ თერგში *) და მათი ბედის ჯერ არაფერი ვიცით. დანარჩენები ზოგი ლარსშივე იქნენ კაზაკების მიერ დახვრეტილი და ზოგიც შიშველ-ტიტველი და ნაცემი კავკავში გაგზავნეს დასახვრეტათ.

ამნაირათ საქართველოს ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ჩაიდინა უსასტიკესი დანაშაული მით, რომ პირველყოვლისა მან აშკარათ დაარღვია ამ რესპუბლიკის ახლად მიღებული ძირითად დებულებათა ერთი ყველაზე უფრო საყურადღებო მუხლი, რომლის ძალით სხვა ქვეყნის ყველა პოლიტიკურ დევნილთ და გადმოხვეწილთ საქართველოს ტერიტორიაზე ენიჭებათ თავშესაფერი და ხელუხლებლობა; შემდეგ მან საქმის სრულებით გამოუძიებლათ და გაუცნობლათ, რამდენიმე წუთის განმავლობაში გადასწყვიტა ოცდათერთმეტი კაცის ბედი. ამათი გაცემა საქართველოს მთავრობის მიერ ისეთი დანაშაულია, რომლის გამართლება აოა გზით და არაფრით არ შეიძლება. სხვათა შორის საჭიროა აღვნიშნოთ აქვე, რომ ამათ გაცემას არც თვით კაზაკები თხოულობდენ და არც შეეძლოთ რომ მოეთხოვათ ვინაიდან ყაზახებმა არც კი იცოდენ იმათი გადმოსვლის ამბავი, ასეთი ღალატი მთელ დედამიწის ზურგზე მეტათ იშვიათი მოვლენაა. ვინ არ იცის, რომ ქისტები და ჩ-ჩნები 3,000 მეტ წითელ-არმიელებს და საბჭოთა მთავრობის სხვა მოღვაწეებს აქვთ თავი შეფარებული აგერ მესამე თვეა და არ ყოფილა ისეთი მაგალითი რომ ... ლობაში ან ქისტებს და ან ჩაჩნებს ერთი წითელ-არმიელი ... დენიკინის ულტიმატუმში პირველი მუხლი სწორეთ ამ გაცემას თხოულობდა. პირ-იქით ჩაჩნები და ქისტები იარაღით შეებრძოლენ კაზაკებს წითელ-არმიელების ხელუხლებლობის და თვითსუფლების დასაცავათ თავიანთ ტერიტორიაზე. მხოლოთ საქართველოს „სოციალისტურმა" მთავრობამ ჩაიდინა ასეთი საჯაყი და სამარცხვინო საქმე, რითაც მან ჩირქი მოცხო მთელ ქართველ დემოკრატიას, ქართველ მუშებს და გლეხებს. უნდა ვიფიქროთ. რომ საქართველოს „სოციალისტურ" მთავრობას საიდუმლო კავშირი უნდა ქონდეს შეკრული დენიკინთან. ბალშევიკების და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ისე შეუძლებელია ასეთი სამარცხვინო ღალატის ახსნა.

ასეთია ის ფაქტი, რომლის გამომჟღავნებას თხოულობს რუსეთის კომმუნისტური პარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტი, ვინაიდან მთავრობა დღემდის უმალავს ამ ფაქტს ქართველ დემოკრატიას. ჩვენ არ ვეკითხებით მთავრობას და არც მოვითხოვთ მისგან პასუხს. ჩვენი ვალია ის, რომ ქართველ ხალხს, ქართველ მუშებს და გლეხებს ვაუწყოთ ის შემაძრწუნებელი დანაშაული, რომელიც 8 აპრილს ჩაიდინა საქართველოს მთავრობამ რუსეთის მუშების და გლეხების წინაალმდეგ.

ვაცხადებთ ამასთანავე, რომ მიღებულია ზომები, რათა ეს ამბავი რაც შეიძლება ჩქარა ვაუწყოთ რუსეთის ცენტრალურ საბჭოთა მთავრობას. ამნაირათ სულ ახლო მომავალში მთელ ქკეყანას, ყველა ქვეყნის მუშებს ეცოდინებათ ქართველ მენშევიკების, ახალი დანაშაული.

რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტი.

ქ. თფილისი.

15 აპრილი 1919 წ.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელად კომუნასტთა საოლქო კომიტეტის სრული პასუხისმგებლობით. მართლწერა ავტორისა დაცულია. **რედ.**

*) სახელდობრ ვინ, ჯერ გამორკვეული არ არის.

რედაქტორ-გამომცემელი.

სარედაქციო-კოლეგი

გამოვიდა და იყიდება.

№ 2 ჟურნ. „კავკასიის ქალაქი"-სა

'მინაარსი:

ქართულათ'

1) გ. ნანეიშვილის—დამოკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოებთა შორის.

2) ძველი ერობელი—ერობის გამგეობის მოწყობისათვის (დასასრული თარ.

3) ს. რობაქიძე—საშკოლო აღმშენებლობა.

4) ევ. მ.დდისონი—ადგილობრივი თვითმართველობები და ხელ შეკრულება დაქირავებულ შრომის შესახებ თარგმანი).

5) ქრონიკა

რუსულად.

1) გ. თუმანოვი—ერობის მართველობის მთავარი ორგანოები (დასასრული)

2) ე. ინოვიჩი—საერობო ყრილობის, გამგეობის და კომისიისთვის (დასასრული)

3) ნსკოვიჩი—საერობო მიწების შეფასება

4) კალიუჟნი—კონტროლის ორგანიზაცია საზოგადოებრივ დაწესებულებებში

5) მ. ჟადანოვი—საქართველოს რესპუბლიკის გზების გეგმის განვითარება

6) ევ. მ.ddისონი—ადგილობრივი თვითმართველობები და ხელშეკრულება დაქირავებულ შრომის შესახებ

7) ქრონიკა.